

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი  
პრიორიტეტების დოკუმენტი



## თავი I ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### შესავალი


საშუალოვადაიანი დაგეგმვის პროცესი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, საშუალოვადაიანი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელებისა და ანგარიშგების ერთიან პროცესს. ამ პროცესის მეშვეობით განისაზღვრება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული განახორციელებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიების განხორციელების მექანიზმს საშუალოვადაიან პერიოდში, ხოლო თავის მხრივ პრიორიტეტების დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევისათვის ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები (იხ. დანართი). ამასთან, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, მასში დეტალურად გაიწერა და ნათლად წარმოჩინდა თითოეული სტრატეგიული პროგრამის და პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და მისაღები/მიღებული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.

საშუალოვადაიანი პრიორიტეტების დოკუმენტის რეალიზაცია ორიენტირებულია ქალაქ ქუთაისში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, შიდა და გარე პოზიციებზე ქალაქის ცნობადობისა და ადგილობრივი ეკონომიკის დინამიური ზრდის, მცირე და საშუალო ბიზნესის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის, სიღარიბის ეტაპობრივი დამლევის, სოციალური ფონისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.


### ქუთაისის შესახებ

ქუთაისი 3500 წლის ისტორიით მსოფლიოს უძველესი ქალაქების ათეულში შედის, რომელიც დღესაც ვითარდება. მისი ისტორია დაკავშირებულია არგონავტების, მედეასა და ოქროს საწმისის მითთან. ქალაქი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს.



ქუთაისი ტერიტორიული სიდიდის მიხედვით საქართველოს რიგით მეორე ქალაქია დედაქალაქის შემდეგ და მისი ფართობი 70 კვ.კმ-ია. ქალაქის განაშენიანებული კვარტლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გრძელდება 7,9 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე. ქალაქის პირველადი საგზაო ქსელის სიგრძეა 231.3 კმ.


ქუთაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მიმზიდველ პირობებს ქმნის მრავალმხრივი განვითარებისათვის. ქუთაისი მდებარეობს მიწისძვრების, მეწყერებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დაბალი რისკის ზონაში და გარშემოტყმულია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორიებით. ქალაქი განსაკუთრებით მდიდარია კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით, ასევე ცნობილია თავისი გასტრონომიითა და სტუმართმოყვარეობით. ქუთაისის მიმზიდველობას ზრდის იმერეთის რეგიონში მდებარე ორმოცდაათზე მეტი ისტორიული და სამკურნალო-რეკრეაციული დანიშნულების ადგილებთან სიახლოვე. განსაკუთრებული როლი აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, საიდანაც ფრენები ხორციელდება ევროპის ქვეყნებში. ასევე შიდა ფრენა მესტიის მიმართულებით. ყოველწლიურად მზარდია ფრენის მიმართულებების რაოდენობა.



ქუთაისი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მანძილი ბათუმის პორტამდე - 139 კმ, ფოთის პორტამდე -105 კმ, მანძილი დედაქალაქამდე - 225 კმ, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალამდე -7 კმ, მთავარ სარკინიგზო სადგურამდე -10 კმ, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე -18კმ.

ადმინისტრაციული ერთეულები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს - ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად.



### მოსახლეობა. დასაქმება.

2016 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 138.200 ათასი კაცია (საქართველოს მოსახლეობის 3,71 %). ქუთაისის მოსახლეობის წილი საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში 7.5%-დან 7%-მდე შემცირდა. შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია, სიცოცხლის საშუალო ასაკი შეადგენს 72.9 წელს, ქალებისათვის ეს მაჩვენებელი - 77.2 წელია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 68.6 წელი. მიგრაციის შედეგად, ბოლო 30 წელიწადში, ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა.

### ადგილობრივი თვითმმართველობა. მუნიციპალური ელექტრონული სერვისები.

ქუთაისი თვითმმართველი ქალაქის სტატუსს ატარებს. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას წარმოადგენს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანო - მერი და წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

ადგილობრივი თვითმმართველობა მისი უფლებამოსილების ფარგლებში ელექტრონული სერვისების საშუალებით ახდენს მუნიციპალური მომსახურებების ეფექტურ მიწოდებას. ამ მიზნისათვის კერძო-საჯარო პარტნიორობის, ინფორმაციის პროაქტიულობის და გამჭვირვალობის მიზნით დანერგულია შემდეგი ელექტრონული სერვისები. მერიის ოფიციალური ვებ გვერდი Kutaisi.gov.ge, კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების procurement.gov.ge და eauction.gov.ge

### საინვესტიციო გარემო და ადგილობრივი ეკონომიკა.

ქუთაისში ბიზნესის წარმოება და ინვესტირება დაბალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც განპირობებულია ერთის მხრივ ხელმისაწვდომ უძრავ ქონებაზე და მეორეს მხრივ სამუშაო ძალაზე, მუდმივად განვითარებად ინფრასტრუქტურაზე, სიახლოვით ევროპა-აზიის მთავარ მაგისტრალთან, სარკინიგზო ხაზთან, საერთაშორისო აეროპორტთან და პორტებთან.

ქუთაისს გარს აკრავს იმერეთის 11 მუნიციპალიტეტი თავისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქებითა და სოფლებით, 300 ათასი მოსახლით, რომლებიც ქალაქისათვის პოტენციურ და ხელმისაწვდომ აქტიურ ძალათ მიიჩნევა და არის პოტენციური მცირე გადამამუშავებელი და აგრო საწარმოების შექმნისათვის.

საინვესტიციო მიმზიდველობისათვის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გამოიკვეთება ასევე ქუთაისის იმერეთის რეკრეაციულ ზოლში მდებარეობა, რაც განპირობებულია 50-მდე არსებული საკურორტო-დასასვენებელი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების და კარსტული გამოქვაბულების, ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეულის ხელმისაწვდომობით, ვაკე რელიეფით და კარგი კლიმატური პირობებით.

ხელმისაწვდომია ენერგომატარებლები. ქალაქი ეკონომიკური აქტივობებისათვის უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით: ელექტროფიცირება 100%, გაზიფიცირება 98%, სასმელი წყლით მომარაგება 99%, ინტერნეტთან წვდომა 68% და ფიჭურკავშირგამბულობა 83%. არსებობს ასევე ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის (მზის, ქარის) წარმოების პოტენციალი.

ქუთაისს შუაზე ყოფს მდინარე რიონი, რომელიც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ულევ წყლის და ელექტროენერჯის წარმოების რესურს იძლევა. ქალაქში არსებული 2 ჰიდროელექტრო სადგურის (რიონჰესი, გუმათჰესი) გამომუშავებული ენერჯია 115 მგვტ აღწევს.

ქუთაისი ფაქტობრივად ასრულებს დასავლეთ საქართველოში ვაჭრობის, მომსახურების, განათლების, ტურიზმის, ლოჯისტიკის, ჯანდაცვის ჰაბის ფუნქციას.

ქუთაისში შექმნილია ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა რომელთა ტერიტორიების 60%-მდე დატვირთულია და ოპერირებს 200-მდე სხვადასხვა პროფილის ბიზნეს კომპანიები. დაწესებული შეღავათიანი საგადასახადო სისტემა და მომხიბვლელი პირობები საინვესტიციო მიმზიდველობას კიდევ უფრო ზრდის.

საქართველოში არსებული საერთაშორისო შეთანხმებები და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები მნიშვნელოვან პოტენციურ ინვესტორებს, ასევე ადგილობრივ მწარმოებლებს.

### შეღავათიანი სავაჭრო რეგულაციები საქართველოში

- ❖ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ევროკავშირთან
- ❖ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (ჰონგ-კონგის ჩათვლით)
- ❖ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) EFTA - ს ქვეყნებთან (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლინხტენშტეინი), უკრაინა , თურქეთი და დსთ-ს ქვეყნები
- ❖ შეთანხმება GSP აშშ, კანადასა და იაპონიასთან
- ❖ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი (WTO)
- ❖ მარტივი და მომსახურებაზე ორიენტირებული საბაჟო პოლიტიკა და ადმინისტრირება – 15 წუთში განბაჟება
- ❖ საქონლის 80% თავისუფალია იმპორტის გადასახადისგან
- ❖ არ არის რაოდენობრივი შეზღუდვები

სტიმულს აძლევს როგორც



ქუთაისი დაძმობილებულია მსოფლიოს 18 ქვეყანის 29 ქალაქთან:

- დიდი ბრიტანეთი (ნიუ პორტი);
- აზერბაიჯანი (განჯა);
- ისრაელი (აშკელონი, ჰაიფა);
- აშშ (კოლუმბია);
- უკრაინა (ნიკოლაევი, ლვოვი, ხარკოვი, ზაპოროჟიე, სუმი, ჟიტომორი, დნიპრო);
- პოლონეთი (პოზნანი, კრაკოვი, ვროცლავი);
- თურქეთი (კარშიაკა);
- უნგრეთი (სომბათჰეი);
- ჩინეთი (ნანჩანგი, ლაივუ);
- მოლდოვა (უნგენი);
- სლოვენია (მარიბოლი);
- ლატვია (ვალკა);
- ესტონეთი (ვალგა, ტარტუ);
- ბელარუსი (გომელი);
- იტალია (კოზენცა);
- ლიეტუვა (კაუნასი);
- საფრანგეთი (სტრასბურგი);
- რუმინეთი (იაში).

დაძმობილებული ქალაქები ჩართულია ქუთაისის ყოველწლიურ საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფორუმებში, ღონისძიებებში. ხშირია დელეგაციების



ურთიერთვიზიტები, კულტურულ-ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში. დამმობილებულ ქალაქებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქუთაისის ცნობადობის ზრდას და საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენას საერთაშორისო არენაზე. მნიშვნელოვანია დამმობილებულ ქალაქებთან არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის.



ქუთაისის ეკონომიკურ აქტივობებში მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემია სახელმწიფო პროგრამებით განხორციელებული სუბსიდირება. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიხედვით მზარდია დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა.

ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამჟამად მიმდინარე მერა პროექტები: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ქუთაისის ელექტრომობილების საწარმო, რომელთა დასრულების შემდგომ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე, შემცირდება მიგრაციული პროცესები.

ქუთაისის ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურა დეინდუსტრიალიზაციის შემდგომ მნიშვნელოვნად შეიცვალა. რთულად, მაგრამ ნელი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ეკონომიკის გამოცოცხლება. ქუთაისი ჯერ კიდევ რეალურ და მძაფრ კონკურენციაშია განვითარების რესურსებით საქართველოს დიდ ქალაქებთან. ქალაქი ეძებს ახალ შესაძლებლობებს

განვითარებისათვის, რაშიც უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, მუნიციპალიტეტების ფართო ჩართულობა.

ქუთაისის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამამუშავებელ მრეწველობას, მაგრამ ის არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქუთაისის დასაქმებული მოსახლეობის 39% ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე მოდის, წარმოების სფერო კი მხოლოდ 11 % შეადგენს, შემდეგ მოდის ჯანდაცვა 10%, განათლება და სპორტი 18%, სხვადასხვა 22%.

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა ქალაქში და ხასითდება დადებითი ეკონომიკური ეფექტურობით. ამ სექტორში ნელ-ნელა იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, შესამჩნევი ხდება ინვესტიციების ზრდის ტენდენციები.

ქუთაისში ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოში სიდიდით გამორჩეული იმერეთის მიმართულების მართვის ორგანიზაცია (DMO), რომელიც თავისი საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს ტურიზმის პოტენციალს, ამზადებს და ავრცელებს საიმიჯო კლიპებს, სისტემატიურად აწყობს ინფო ტურებს და მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე, რითაც ხელი ეწყობა როგორც ქუთაისის, ასევე იმერეთის რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის პოპულარიზაციას და მოქნილ, კონკურენტუნარიან რეგიონად წარმოჩენას.

ქალაქში მომატებული ტურისტების რაოდენობა ბიძგს აძლევს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. კვლავ მცირეა საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმროების რაოდენობა, თუმცა იზრდება საოჯახო ტიპის სასტუმრო-სახლები და ჰოსტელები. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, სადაც მოქმედი აგრობაზრობები, სავაჭრო-სადისტრიბუციო ცენტრები უზრუნველყოფენ რეგიონის სავაჭრო აქტივობებს, მაგრამ არასაკმარისად განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები სრულად ვერ პასუხობენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების და მზარდი ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისა, მცირეა მათი სიცოცხლისუნარიანობა. წარმოებაში არსებული დაბალი კონკურენტუნარიანობა, არსებული ამორტიზებული ტექნიკა, არასაკმარისი მიწა და ინფრასტრუქტურა, დაფინანსების მიღებისათვის დაწესებული საბანკო პირობები და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, არაკვალიფიციური კადრები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პარტნიორების ნაკლებობა ბიზნესის ძირითადი ბარიერებია.

ქუთაისი ცდილობს, გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებისთვის. აშკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. არასაკმარისად არის განვითარებული კერძო და საჯარო სექტორში რესსურს დამზოგი ტექნოლოგიები და ენერგოეფექტური სისტემები.

ქუთაისი საქართველოს ურბანული ეკონომიკის ქალაქების დიდ ოთხეულში შედის, სადაც თანმიმდევრულად იზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შესაძლებელია ზრდის პროცესი კიდევ მეტად პროდუქტიული გახდეს საერთაშორისო ფირმებისა და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით, რომლებსაც შეუძლია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის. საინვესტიციო მიმზიდველ


---

დარგებად მიიჩნევა უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მშენებლობა, მცირე საწარმოები, სასტუმრო ინდუსტრია.

კვლავ შეუმუშავებელია მიწათსარგებლობისა და განაშენიანების გეგმა, რაც უძრავი ქონების და სამშენებლო სექტორში ინვესტირებას აფერხებს. თუმცა ბიზნეს სექტორისათვის კვლავინდებურად ინტერესის სფეროს წარმოადგენს თავისუფალი მუნიციპალური უძრავი ქონება.

საშუალოვადიან პერესპექტივაში ინვესტირების ზრდა დამოკიდებული იქნება სისტემურ ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობა პრიორიტეტად მიიჩნევს იმ სისტემური ბარიერების მოხსნას, რომელიც მის კომპეტენციაშია და დაძლევადია ქალაქის რესურსებით: ა) სივრცითი განვითარების და მიწათსარგებლობის გეგმის დასრულება, აქტივების (მიწა და შენობა-ნაგებობები) აღწერა, სისტემატიზაცია და ელექტრონული სერვისების დანერგვა დაინტერესებულ პირთათვის დისტანციურად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ბ) ქალაქის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და გამოცდილების არსებობას, ახალი ტურისტული ატრაქციებისა და პროდუქტების შექმნას მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, ცენტრალურ უწყებებთან და ბიზნესთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობით.

მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი



## მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

### ქუთაისის განვითარების საშუალო ვადიანი ხედვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს. ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ფართო ჩართულობა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის დადებით წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

**ხედვა:** ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ის ადმინისტრაციულ, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და ბიზნეს სტრუქტურებს; მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, განათლების მისაღებად, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

### ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

**მისია:** ქუთაისი არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- მაღალი ხარისხის განათლების სერვისის მიწოდებას;
- მაღალი ხარისხის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო სერვისის მიწოდებას;

- საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;
- საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- ქალაქის ცნობადობის გაზრდას;
- ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;
- გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

## თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი			2025 წლის პროგრნოზი	2026 წლის პროგრნოზი	2027 წლის პროგრნოზი
			სულ	მათ შორის:				
				წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
1	2	3	6	7	8	9	10	11
შემოსავლები	112,184.0	93,893.2	86,614.7	0.0	86,614.7	92,374.6	98,480.1	105,067.5
გადასახადებო	60,638.3	65,440.8	71,497.7	0.0	71,497.7	76,926.6	82,691.1	88,947.5
გრანტები	40,086.6	13,679.1	300.0	0.0	300.0	300.0	300.0	300.0
სხვა შემოსავლები	11,459.1	14,773.3	14,817.0	0.0	14,817.0	15,148.0	15,489.0	15,820.0
ხარჯები	79,063.2	89,374.9	87,051.7	0.0	87,051.7	92,652.6	98,549.3	101,173.5
შრომის ანაზღაურება	33,470.8	39,798.5	43,798.0	0.0	43,798.0	48,124.0	52,885.5	53,085.0

საქონელი და მომსახურება	19,977.4	21,137.0	20,827.0	0.0	20,827.0	21,561.4	22,154.5	23,297.5
პროგნტი	2,755.7	2,743.8	2,315.0	0.0	2,315.0	1,919.2	1,529.8	1,150.0
სუბსიდიები	9,053.6	8,020.5	8,165.0	0.0	8,165.0	8,492.0	8,814.0	9,431.0
გრანტები	171.5	185.0	180.0	0.0	180.0	190.0	200.0	250.0
სოციალური უზრუნველყოფა	5,664.3	6,967.0	7,472.7	0.0	7,472.7	7,854.0	8,235.5	8,877.0
სხვა ხარჯები	7,969.9	10,523.1	4,294.0	0.0	4,294.0	4,512.0	4,730.0	5,083.0
საოპერაციო სალდო	33,120.8	4,518.3	-437.0	0.0	-437.0	-278.0	-69.2	3,894.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	24,505.2	23,665.7	632.0	0.0	632.0	791.0	1,049.0	5,061.0
ზრდა	34,024.1	32,665.7	9,132.0	0.0	9,132.0	9,291.0	9,549.0	13,561.0
კლება	9,518.9	9,000.0	8,500.0	0.0	8,500.0	8,500.0	8,500.0	8,500.0
მთლიანი სალდო	8,615.6	-19,147.4	-1,069.0	0.0	-1,069.0	-1,069.0	-1,118.2	-1,167.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	8,042.3	-23,015.6	-5,000.0	0.0	-5,000.0	-5,000.0	-5,000.0	-5,000.0
ზრდა	23,288.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	23,288.6		0.0					
კლება	15,246.3	23,015.6	5,000.0	0.0	5,000.0	5,000.0	5,000.0	5,000.0
აქციები და სხვა კაპიტალი	15,246.3	23,015.6			5,000.0	5,000.0	5,000.0	5,000.0
ვალდებულებების ცვლილება	-573.3	-3,868.2	-3,931.0	0.0	-3,931.0	-3,931.0	-3,881.8	-3,833.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო			0.0					
საგარეო			0.0					
კლება	573.3	3,868.2	3,931.0	0.0	3,931.0	3,931.0	3,881.8	3,833.0
საშინაო	573.3	3,868.2	3,931.0	0.0	3,931.0	3,931.0	3,881.8	3,833.0
საგარეო			0.0					
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

## 2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

#### I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N5 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 6 ცვლილება და წლის ბოლოს დაზუსტებულმა გეგმამ 129893,7 ათასი ლარი შეადგინა.

#### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ბალანსის შესრულება

თანხა ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულება %-ში		
	გეგმა სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	ფაქტი სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	წლიური შესრულება	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
შემოსავლები	105,338.9	76,552.9	28,786.0	112,184.0	73,468.9	38,715.1	106%	96%	134%
გადასახადები	59,715.0	59,715.0	0.0	60,638.3	60,638.3	0.0	102%	102%	
გრანტები	30,476.0	1,690.0	28,786.0	40,086.6	1,371.5	38,715.1	132%	81%	134%
სხვა შემოსავლები	15,147.9	15,147.9	0.0	11,459.1	11,459.1	0.0	76%	76%	
ხარჯები	84,596.9	80,346.1	4,250.8	79,063.2	76,139.8	2,923.4	93%	95%	69%



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

შრომის ანაზღაურება	33,656.6	33,656.6	0.0	33,470.6	33,470.6	0.0	99%	99%	
საქონელი და მომსახურება	21,029.1	21,029.1	0.0	19,031.7	19,031.7	0.0	91%	91%	
პროცენტი	2,758.8	2,758.8	0.0	2,755.7	2,755.7	0.0	100%	100%	
სუბსიდიები	9,286.5	9,286.5	0.0	9,103.7	9,103.7	0.0	98%	98%	
გრანტები	172.0	172.0	0.0	171.5	171.5	0.0	100%	100%	
სოციალური უზრუნველყოფა	6,126.0	6,126.0	0.0	5,673.7	5,673.7	0.0	93%	93%	
სხვა ხარჯები	11,567.9	7,317.1	4,250.8	8,856.3	5,932.9	2,923.4	77%	81%	69%
საოპერაციო სალდო	20,742.0	-3,793.2	24,535.2	33,120.8	-2,670.9	35,791.7	160%	70%	146%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	35,220.3	5,282.6	29,937.7	24,505.2	1,970.5	22,534.7	70%	37%	75%
ზრდა	44,720.3	14,782.6	29,937.7	34,024.1	11,489.4	22,534.7	76%	78%	75%
კლება	9,500.0	9,500.0	0.0	9,518.9	9,518.9	0.0	100%	100%	
მთლიანი სალდო	-14,478.3	-9,075.8	-5,402.5	8,615.6	-4,641.4	13,257.0	-60%	51%	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-15,054.8	-9,652.3	-5,402.5	8,042.3	-5,214.7	13,257.0	-53%	54%	
ზრდა	0.0	0.0	0.0	13,257.0	0.0	13,257.0			
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			13,257.0		13,257.0			
კლება	15,054.8	9,652.3	5,402.5	5,214.7	5,214.7	0.0	35%	54%	
ვალუტა და დეპოზიტები	15,054.8	9,652.3	5,402.5	5,214.7	5,214.7		35%	54%	
ვალდებულებების ცვლილება	-576.5	-576.5	0.0	-573.3	-573.3	0.0	99%	99%	
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0			
საშინაო									
საგარეო									
კლება	576.5	576.5	0.0	573.3	573.3	0.0	99%	99%	
საშინაო	576.5	576.5	0.0	573.3	573.3	0.0	99%	99%	
საგარეო									
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 15246.8 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილების შესრულება:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა			2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულება %-ში		
	გეგმა სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	ფაქტი სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	წლიური შესრულება	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
შემოსულობები	114,838.9	86,052.9	28,786.0	121,702.9	82,987.8	38,715.1	106%	96%	134%
შემოსავლები	105,338.9	76,552.9	28,786.0	112,184.0	73,468.9	38,715.1	106%	96%	134%
არაფინანსური აქტივების კლება	9,500.0	9,500.0	0.0	9,518.9	9,518.9	0.0	100%	100%	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარდა)									
ვალდებულებების ზრდა									
გადასახდელები	129,893.7	95,705.2	34,188.5	113,660.6	88,202.5	25,458.1	88%	92%	74%
ხარჯები	84,596.9	80,346.1	4,250.8	79,063.2	76,139.8	2,923.4	93%	95%	69%
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,720.3	14,782.6	29,937.7	34,024.1	11,489.4	22,534.7	76%	78%	75%
ფინანსური აქტივების ზრდა									
ვალდებულებების კლება	576.5	576.5	0.0	573.3	573.3	0.0	99%	99%	
ნაშთის ცვლილება	-15,054.8	-9,652.3	-5,402.5	8,042.3	-5,214.7	13,257.0	-53%	54%	

**ბიუჯეტის შემოსულობები სახეების მიხედვით:**

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 129893.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 136949.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105%.

თანხა ათას ლარში

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	სულ შემოსულობები			საკუთარი შემოსულობები			სახელმწიფო ფონდები		
		გეგმა	ფაქტი	შესრულება	გეგმა	ფაქტი	შესრულება	გეგმა	ფაქტი	შესრულება
0	ჯამური	129,893.7	136,949.7	105%	95,705.2	92,641.1	97%	34,188.5	44,308.6	130%
1	შემოსავლები	105,338.9	112,184.0	106%	76,552.9	73,468.9	96%	28,786.0	38,715.1	134%
11	გადასახადები	59,715.0	60,638.3	102%	59,715.0	60,638.3	102%			
113	გადასახადები ქონებაზე	10,995.0	11,359.9	103%	10,995.0	11,359.9	103%			

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი


113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,495.0	9,461.4	100%	9,495.0	9,461.4	100%			
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	-0.6		0.0	-0.6				
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	100.0	594.4	594%	100.0	594.4	594%			
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0.0	7.3		0.0	7.3				
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1,400.0	1,297.4	93%	1,400.0	1,297.4	93%			
114	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	48,720.0	49,278.4	101%	48,720.0	49,278.4	101%			
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	48,720.0	49,278.4	101%	48,720.0	49,278.4	101%			
13	გრანტები	30,476.0	40,086.6	132%	1,690.0	1,371.5	81%	28,786.0	38,715.1	134%
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	660.0	341.5	52%	660.0	341.5	52%			
133	სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	29,816.0	39,745.1	133%	1,030.0	1,030.0	100%	28,786.0	38,715.1	134%
133111	მიმდინარე	280.0	280.0	100%	280.0	280.0	100%			
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	280.0	280.0	100%	280.0	280.0	100%			
133112	კაპიტალური	29,536.0	39,465.1	134%	750.0	750.0		28,786.0	38,715.1	134%
14	სხვა შემოსავლები	15,147.9	11,459.1	76%	15,147.9	11,459.1	3.4			
141	შემოსავლები საკუთრებიდან	1,350.0	1,326.4	98%	1,350.0	1,326.4	98%			
1411	პროცენტი	1,000.0	922.3	92%	1,000.0	922.3	92%			
1412	დივიდენდები	60.0	65.1	109%	60.0	65.1	109%			
1415	რენტა	290.0	339.0	117%	290.0	339.0	117%			
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	200.0	236.9	118%	200.0	236.9	118%			
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	90.0	102.1	113%	90.0	102.1	113%			

ქლაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	4,315.0	4,344.1	101%	4,315.0	4,344.1	101%			
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	3,745.0	3,729.9	100%	3,745.0	3,729.9	100%			
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5.0	6.2	124%	5.0	6.2	124%			
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,040.0	1,066.8	103%	1,040.0	1,066.8	103%			
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,100.0	2,188.6	104%	2,100.0	2,188.6	104%			
14223	სანებართვო მოსაკრებლები	600.0	468.2	78%	600.0	468.2	78%			
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.1		0.0	0.1				
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	570.0	614.2	108%	570.0	614.2	108%			
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	3,750.0	4,325.2	115%	3,750.0	4,325.2	115%			
1431	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	3,500.0	4,026.9	115%	3,500.0	4,026.9	115%			
1434	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	200.0	272.1	136%	200.0	272.1	136%			
1439	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	50.0	26.2	52%	50.0	26.2	52%			
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5,732.9	1,463.4	26%	5,732.9	1,463.4	26%			
14511	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	400.0	483.9	121%	400.0	483.9	121%			

1454	შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან	125.0	90.0		125.0	90.0			
1458	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	600.0	326.5	54%	600.0	326.5	54%		
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	4,607.9	563.0	12%	4,607.9	563.0	12%		
31	შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან	9,500.0	9,518.9	100%	9,500.0	9,518.9	100%		
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	3,000.0	4,236.0	141%	3,000.0	4,236.0	141%		
314	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან	6,500.0	5,282.9	81%	6,500.0	5,282.9	81%		
41	ნაშთები წლის დასაწყისისათვის	15,054.8	15,246.8	101%	9,652.3	9,653.3	100%	5,402.5	5,593.5

2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები სახეების მიხედვით



**გადასახადები** მთლიანი შემოსულობების 44,3%-ს (60638,3 ათასი ლარი) შეადგენს. იგი შედგება შემოსავლის 2 წყაროსგან: ქონების და დღგ-ს განაწილებიდან მისაღებ შემოსავლებად. ქონების გადასახადის სახით მიღებული 11359,9 ათასი ლარის შემოსავალი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქონებაზე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადახდილ ქონების გადასახადს. გადასახადების პროგნოზირებულ მაჩვენებლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს განუსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც, ასევე ახორციელებს გადასახადების ადმინისტრირებას ბიუჯეტში. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული 49278,4 ათასი ლარი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღგ-ს განაწილებით მიღებულ სახსრებს.

**გრანტების** სახით მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 29,3%-ს (40086,6 ათასი ლარი) შეადგენს. იგი შედგება: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისაგან. მიზნობრივი ტრანსფერი - 280,0 ათასი ლარი; კაპიტალური ტრანსფერი - 38715,1 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტი -750,0 ათასი ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 341,5 ათასი ლარი.

**სხვა შემოსავლებიდან** მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 8,4%-ს (11459,1 ათასი ლარი) შეადგენს. სხვა შემოსავლების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 3729,9 ათასი ლარი და სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 4325,2 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლებისგან** - ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 6,9%-ს (9518,9 ათასი ლარი) შეადგენს.

**ფინანსური აქტივების ცვლილებამ** 2022 წლის განმავლობაში შეადგინა +8042,3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშებზე 2022 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის სახით ირიცხებოდა 15245,8 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 23288.1 ათასი ლარი.


## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 129893,7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 113660,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 84596,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 79063,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 69,5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44720,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 34024,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 76%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 29,9%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 576,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 573,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0,6%-ია.



„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 33656.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 33470.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 42.3%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 21029.1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 19031.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 91%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 24%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2758.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2755.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.5%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 9286.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9103.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.5%-ს შეადგენს. „სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სატრანსპორტო კომპანია ;
- კალათბურთის განვითარება;
- ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება;
- რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებები;
- კულტურის ღონისძიებები.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 172,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 171,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.2%-ს შეადგენს. „გრანტების“ მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6126,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5673,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 93%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 7,2%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;



- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;
  - მოსახლეობის უფასო სასაბინოებით მომსახურება;
  - სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 166.7 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- „სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 11567,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 8856,3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 77%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 11,2%-ია.
- „სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და სტიქიით დაზიანებული შენობების გამაგრების სამუშაოები
  - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები
  - სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები.
- **აღებული ვალდებულებების** დასაფინანსებლად 2022 წლის ბიუჯეტიდან გადაირიცხა 573.3 ათასი ლარი ძირის სახით, ხოლო პროცენტის სახით - 2755.7 ათასი ლარი. 2015–2025 წლებში, ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციისათვის დასაფარი ვალდებულება შეადგენს 1783.3 ათას ლარს, ხოლო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ შორის ხელმოწერილი პროექტის ქონების გადაცემის ხელშეკრულების (2018–2026 წლები) შესაბამისად, დასაფარი ვალდებულება შეადგენს 341.8 ათას ლარს, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის სამგზავრო ავტობუსებისა და მისი სათადარიგო ნაწილების გადაცემისათვის დასაფარი ვალდებულება (2021–2029 წლები) შეადგენს 22679,5 ათას ლარს. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 24804.6 ათას ლარს.

დასახელება	2022 წლის გადასახდელების შესრულება		
	გეგმა	საკასო შესრულება	პროცენტი
ხარჯები	84,596.9	79,063.2	93%
შრომის ანაზღაურება	33,656.6	33,470.6	99%
საქონელი და მომსახურება	21,029.1	19,031.7	91%
პროცენტები	2,758.8	2,755.7	100%
სუბსიდიები	9,286.5	9,103.7	98%


გრანტები	172.0	171.5	100%
სოციალური უზრუნველყოფა	6,126.0	5,673.7	93%
სხვა ხარჯები	11,567.9	8,856.3	77%
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,720.3	34,024.1	76%
ვალდებულებები	576.5	573.3	99%
<b>სულ გადასახდელები</b>	<b>129,893.7</b>	<b>113,660.6</b>	<b>88%</b>

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

თანხა ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	14,549.8	14,273.2	98%
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9,751.4	9,553.2	98%
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,758.8	2,755.7	100%
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2,039.6	1,964.3	96%
704	ეკონომიკური საქმიანობა	21,749.1	19,279.2	89%
7045	ტრანსპორტი	20,057.1	17,727.1	88%
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1692.0	1552.1	92%
705	გარემოს დაცვა	12,598.0	11,967.2	95%
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6959.1	6957.1	100%
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლაღმფტების დაცვა	5638.9	5010.1	89%
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	31,705.7	22,062.5	70%
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	4,791.3	3,391.5	71%
7064	გარეგანათება	3850.0	3678.8	96%
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	23064.4	14992.2	65%
707	ჯანმრთელობის დაცვა	1,948.0	1,913.4	98%
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	305.0	295.5	97%
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1643.0	1617.9	98%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	24,734.9	22,224.7	90%
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	14848.4	12598.0	85%

7082	მომსახურება კულტურის სფეროში	9450.9	9240.6	98%
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	140.0	139.7	100%
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	295.6	246.4	83%
709	განათლება	16,558.6	16,349.9	99%
7091	სკოლამდელი აღზრდა	15,230.0	15,194.3	100%
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1,328.6	1,155.6	87%
710	სოციალური დაცვა	5,473.1	5,017.2	92%
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	5473.1	5017.2	92%
	სულ	129,317.2	113,087.3	87%



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 14273,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (14549,8 ათასი ლარი) 98%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 12,6%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 9553,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (9751,4 ათასი ლარი) 98%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2755,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1964,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (2039,6 ათასი ლარი) 96%-ია.
  - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 21749,1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 19279,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 17%. მათ შორის:
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 17727,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (20057,1 ათასი ლარი) 88%;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1552,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1692,0 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს.
  - გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 12598,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 11967,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10,6%. მათ შორის:
- ✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 6957,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6959,1 ათასი ლარი) 100%-ია;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 5010,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5638,9 ათასი ლარი) 89%-ს შეადგენს.
  - საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 31705,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 22062,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 70%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 19,5%. მათ შორის:
- ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 101,287.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (106,016.6 ათასი ლარი) 95.5%-ს შეადგენს;
- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 3391,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (4791,3 ათასი ლარი) 71%-ს შეადგენს;
- ✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 3678,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (3850,0 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 14992,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (23064,4 ათასი ლარი) 65%-ს შეადგენს.
  - ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1948,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1913,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 1,7%. მათ შორის:
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 295,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (305,0 ათასი ლარი) 97%;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1617,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1643,0 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 24734,9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 22224,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 19,7%. მათ შორის:

- ✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 12598,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (14848,4 ათასი ლარი) 85%;
- ✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 9240,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (9450,9 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;
- ✓ ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსდა 139,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (140,0 ათასი ლარი) 100%-ია.
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 246,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (295,6 ათასი ლარი) 83%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 16558,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 16349,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14,5%. მათ შორის:

- ✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 15194,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (15230,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1155,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1328,6 ათასი ლარი) 87%-ს შეადგენს.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 5473,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5017,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4,4%. მათ შორის:

- ✓ დაფინანსდა სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში.

### სარეზერვო ფონდი

